გამოვიდა 2021 წლის მეორე ნომერი ჟურნალისა „თეოლოგიის საკითხები“



გამოვიდა მორიგი, მიმდინარე წლის მეორე, ნომერი ჟურნალისა „თეოლოგიის საკითხები“. ეს საერთაშორისო თეოლოგიური ჟურნალი შედის რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული უსკ-ის (უმაღლესი სააატესტაციო კომისია) რეცენზირებულ გამოცემათა ნუსხაში, აგრეთვე, მთელ რიგ სამამულო და საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში. ჟურნალს გამოსცემს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზოგადსაეკლესიო ასპირანტურა და დოქტორანტურა.

წარმოდგენილ გამოცემას ხსნის სინოდალური ბიბლიურ-ღვთისმეტყველებითი კომისიის თავმჯდომარის, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის ინტერვიუ, რომელიც მან მისცა ამავე ჟურნალის რედკოლეეგიის წევრს – ა. ი. კირლეჟევს. ინტერვიუში საუბარი ეხება საეკლესიო და საერო განზომილებებში თეოლოგიის განვითარების საკვანძო პრობლემებს. საუბრის მეორე ნაწილი წარმოაჩენს მიტროპოლიტ ილარიონს, როგორც ღვთისმეტყველს, ვეცნობით მის გზასა და შრომებს თეოლოგიის დარგში, მის სამეცნიერო ინტერესებსა და გეგმებს.

შემდეგ მოდის რიგი წერილებისა, მიძღვნილი თეოლოგიის სხვადასხვა ასპექტისადმი. ნ. ი. რაევსკისა და მღვდელმონაზონ ირინეოსის (პიკოვსკი) წერილში გაანალიზებულია ბიბლეისტიკის საკითხები: პირველში განიხილება ძველ იუდაიზმში გამოსახულებაზე აკრძალვის ფორმირების დინამიკა, რომელმაც დასრულებული სახე მე-7 ს.-ში მიიღო; მეორე წერილის ავტორი განიხილავს 120-ე (121-ე) ფსალმუნს ლიტურგიკული კუთხით.

ნ. კ. ანტონოვას ტექსტი წარმოადგენს წმინდა მღვდელთმთავრის, გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომებში სამღვდელოების თემისადმი მიძღვნილი კვლევების დიდ ანალიტიკურ მიმოხილვას, და ფრიად სასარგებლო იქნება ჩენი პატროლოგებისათვის, უპირველესად, მაგისტრანტებისა და ასპირანტებისათვის.

ნომერს განაგრძობს ვ. ლ. ივანოვის სტატია შუასაუკუნების დასავლური თეოლოგიის უმნიშვნელოვანესი ფიგურის – დუნს სკოტის შესახებ. ეს რთული და მაღალპროფესიონალური ტექსტი, ერთი მხრივ, გაშლილად გადმოსცემს შინაგანი მოდუსის ზედმიწევნით გაგებას, – ესოდენ მნიშვნელოვანი ადგილი რომ უჭირავს დუნსის თეოლოგიაში, მეორე მხრივ, გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს სქოლასტიკის ისტორიულ-ღვთისმეტყველებითი კვლევების თანამედროვე სიმაღლეების შესახებ.

ლ. ი. დემენტიევის სტატია ისეთ ნაკლებად ცნობილ თემას ეხება, როგორიცაა წმინდანების აღიარება თანამედროვე ანგლიკანობაში. მოცულობით არცთუ დიდი ტექსტი მკითხველისათვის საკმაოდ ინფორმაციულია. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს ავტორის მცდელობა, ლექსად გადმოეცა ერთ-ერთი ანგლიკანური ჰიმნი.

ა. ვ. ლუკიანოვისა და მ. ა. პუშკარევას ერთობლივ ნაშრომში განხილულია ი.გ. ფიხტეს გამონათქვამები რელიგიის შესახებ და მისი პოზიცია, რომელიც მას ეკავა თავისი დროის შესაბამის დისკუსიებში.

თეოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიის შესახებ მიმდინარე დავების კონტექსტში, აქტუალურია მღვდელ ალექსი ვასილიევის წერილი „აკადემიური თეოლოგიის მეთოდები (ბერნარდ ლონერგანის pro et contra)“. ავტორი განიხილავს კანადელი იეზიუტის მეთოდოლოგიური პოზიციების საფუძვლებს, თავადაც წარმოადგენს ამ სფეროში ადეკვატური სამეცნიერო შრომების შესახებ საკუთარ თეზისებს და მასთან პოლემიკაში შედის.

ჟურნალის ნომერს ასრულებს ა. მ. ბოგაჩევას, ა. მ. პრილუცკისა და გ. ი. ტეპლიხის ერთობლივი სტატია, სადაც ვხედავთ ექსტრემისტული მოქმედებების გაანალიზების მცდელობას ფსიქოლოგიისა და თეოლოგიის პოზიციებიდან და განიხილება თეოლოგიური განათლების ანტიექსტრემისტული პოტენციალი.

სრულად ნახვა

გაზიარება: